

# შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“

კონსოლიდირებული ნახევარწლიური ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 30 ივნისი


## საქმიანობის აღწერა

კომპანია 2001 წელს დააარსა „თბილუნინვერსალბანკმა“ და ეს იყო პირველი ქართული კომპანია, რომელმაც ლიზინგის მომსახურების სახით მსურველებს სესხებისგან განსხვავებული დაფინანსების ალტერნატიული წყარო შესთავაზა. 2005 წელს ის საქართველოს ბანკის შვილობილი კომპანია გახდა ორი ბანკის შერწყმის შედეგად. 2015 წლის აგვისტოში, რეორგანიზაციის შედეგად, სს "ბიჯი ფაინენშელი" გამოეყო სს "საქართველოს ბანკს" და შპს "საქართველოს სალიზინგო კომპანიის" 100% -იანი წილის მფლობელი გახდა. 2017 წლის ივნისში კომპანიის 100% წილი სს „საქართველოს ბანკმა“ გადაიფორმა.

2015 წლის აპრილში კომპანიამ იყიდა შპს „პრაიმ ლიზინგი“ 100%-იანი წილი, რომლის სალიზინგო პორტფელი დაახლოებით 2 მილიონ ლარს შეადგენდა. პორტფელის გადაწერა ეტაპობრივად ხდებოდა საქართველოს სალიზინგო კომპანიის ბალანსზე. დღეისთვის პრაიმ ლიზინგის პორტფელი განულებულია.

ამჟამად კომპანიას (2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით) 79 თანამშრომელი ჰყავს. აქედან 11 თანამშრომელი „ტურბოს“ ოფისებშია გადანაწილებული თბილისში, რუსთავეში, ზუგდიდში, ბათუმსა და ქუთაისში. კომპანიის მთავარი მომხმარებლები მცირე და საშუალო ზომის საწარმოები და საცალო მომხმარებლები არიან, მას ჰყავს, აგრეთვე, რამდენიმე მსხვილი მომხმარებელი. კომპანიის პროდუქცია მიზნად ისახავს სხვადასხვა მომხმარებელთა საჭიროებების დაკმაყოფილებას.

ემიტენტის ჯგუფის სტრუქტურა 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:



\*Bank of Georgia Group PLC-ს სხვა აქციონერები წარმოადგენენ 5%-ზე ნაკლები მფლობელობის აქციონერებს.

სს „საქართველოს ბანკი“-ს სხვა აქციები სრულად არის დალისტული საქართველოს საფონდო ბირჟაზე. აღნიშნული აქციონერების ხელშია 0.48% წილის მფლობელობა.

2018 წლის 29 მაისს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული „ბიჯეო ჯგუფი“ ორად გაიყო. გაყოფის შედეგად, ლონდონის საფონდო ბირჟაზე ორი საჯარო კომპანიის აქციები არის სავაჭროდ დაშვებული - „საქართველოს ბანკის“ და „საქართველოს კაპიტალის“.

### **კომპანიის აქციონერები**

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი არის სს „საქართველოს ბანკი“

### **კომპანიის დირექტორები**

ელდარ ახვლედიანი საქართველოს სალიზინგო კომპანიის გენერალური დირექტორის პოზიციას 2015 წლის 1-ლი აპრილიდან იკავებს. მან საბანკო სფეროში მუშაობა 2002 წლიდან დაიწყო. ეკავა სხვადასხვა პოზიცია „საქართველოს ბანკში“. ბოლო 8 წლის განმავლობაში „საქართველოს ბანკის“ კორპორაციული საბანკო მომსახურების მიმართულებით უმსხვილეს ბიზნეს სექტორებს ხელმძღვანელობდა. მისი პროფესიული კარიერა მოიცავს წლებს, როდესაც საბანკო სექტორმა მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა, რამაც მას ფასეული გამოცდილება შესძინა ამ სფეროში. ელდარს უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საბანკო და საფინანსო მიმართულებით.

კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილეა გიორგი ჯღარკავა. ის „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ აღნიშნულ პოზიციას 2015 წლის 15 მაისიდან იკავებს. იგი საბანკო სექტორში 2006 წლიდან არის დასაქმებული, 2010 წლის შემდეგ კი სს „კორ სტანდარტ ბანკის“ საკრედიტო, საცალო და კორპორაციული საბანკო მომსახურების დეპარტამენტებს ხელმძღვანელობდა. მას აგრეთვე აქვს საკონსულტაციო მიმართულებით მუშაობისა და კრიზისული სიტუაციების მართვის წარმატებული გამოცდილება. გიორგი ჯღარკავამ 2012 წელს მიიღო თავისუფალი უნივერსიტეტისა და BP-ს პროექტების მენეჯმენტის კოლეჯის დიპლომი, 2014 წელს თავისუფალი უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, ხოლო ამჟამად IE ბიზნეს სკოლის მაგისტრის ხარისხის მისაღებად აგრძელებს სწავლას.

კომპანიის ფინანსური დირექტორია ნესტან მიქელაძე. იგი კომპანიას 2019 წლის 1 ივლისიდან შეუერთდა. ნესტანს 10 წელზე მეტი გამოცდილება აქვს საფინანსო სექტორში. ის „საქართველოს ბანკში“ მუშაობდა 2009 წლიდან 2013 წლამდე კორპორატიული ბანკირის პოზიციაზე და სხვადასხვა მნიშვნელოვან სექტორს ფარავდა. 2013 წლიდან 2019 წლის ივნისამდე ნესტანი სს „გალტ ენდ თაგარტში“ მუშაობდა საინვესტიციო საბანკო მომსახურების დეპარტამენტში ასოცირებული საინვესტიციო ბანკირისა და უფროსი ასოცირებული საინვესტიციო ბანკირის პოზიციაზე. მას ბაკალავრის ხარისხი „კავკასიის ბიზნესის სკოლაში“ აქვს მიღებული 2008 წელს, სადაც 2004 წლიდან სწავლობდა.

## ფინანსური ანგარიშგება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ 2021 წლის პირველი 6 თვის არააუდირებულ საბალანსო უწყისს, მოგება-ზარალის უწყისს, კაპიტალის მოძრაობის უწყისს და ფულის მოძრაობის უწყისს.

<b>საბალანსო უწყისი, ლარი</b>	<b>1H 2021</b>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	41,988,434
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	99,028,022
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები	23,376,234
საიჯარო მიზნებისთვის განკუთვნილ აქტივებზე გადახდილი ავანსები	4,260,446
აქტივები გამოყენების უფლებით	766,658
ძირითადი საშუალებები	288,662
არამატერიალური აქტივები	573,464
სხვა მიმდინარე საგადასახადო აქტივები,	157,960
სხვა აქტივები	5,180,468
<b>სულ აქტივები</b>	<b>175,620,348</b>
სასესხო დავალიანება	75,010,920
გამომწვებული ობლიგაციები	64,660,668
ვალდებულებები გამოყენების უფლებით	833,915
კლიენტებიდან მიღებული თანხები	3,177,144
სხვა ვალდებულებები	4,910,480
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>148,593,127</b>
საწესდებო კაპიტალი	3,180,000
დამატებითი შეტანილი კაპიტალი	15,313,735
გაუნაწილებელი მოგება	9,129,901
სხვა რეზერვი	(596,415)
<b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>	<b>27,027,221</b>
<b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>	<b>175,620,348</b>

<b>საპროცენტო შემოსავლები</b>	
ლიზინგიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლები	13,034,680
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	590,086
<b>საპროცენტო ხარჯები</b>	
საპროცენტო ხარჯი გამოყენების უფლებით ფლობილ ვალდებულებებზე	(32,090)
სასესხო დავალიანება	(3,815,055)
გამოშვებული ობლიგაციები	(3,227,901)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>6,549,720</b>
<b>ფინანსური ლიზინგიდან მოთხოვნების გაუფასურება</b>	<b>172,910</b>
<b>წმინდა საპროცენტო (ხარჯი)/შემოსავალი ფინანსური ლიზინგიდან მოთხოვნების გაუფასურების გამოკლების შემდეგ</b>	<b>6,722,730</b>
<b>შემოსავალი ჯარიმებიდან</b>	<b>1,707,436</b>
უცხოური ვალუტის ცვლილებით გამოწვეული წმინდა მოგება/ზარალი	(1,835,212)
სხვა შემოსავალი	6,985,330
<b>სულ საოპერაციო შემოსავალი</b>	<b>13,580,154</b>
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(5,299,927)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(1,522,239)
საიჯარო მიწებისთვის ფლობილი აქტივების აფასება/(ჩამოფასება)	(211,677)
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	(7,033,843)
<b>მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე</b>	<b>6,546,341</b>
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	(700)
<b>სულ საოპერაციო შემოსავალი</b>	<b>6,545,641</b>
სხვა განსაკუთრებული შემოსავლები	-
<b>სულ საოპერაციო შემოსავალი</b>	<b>6,545,641</b>

კაპიტალის მოძრაობის უწყისი, ლარი

1H 2021

	<i>საწესდებო კაპიტალი</i>	<i>დამატებით შეტანილი კაპიტალი</i>	<i>სხვა რეზერვები</i>	<i>გაუნაწილებელი მოგება</i>	<i>სულ საკუთარი კაპიტალი</i>
2021 წლის 1 იანვარი	3,180,000	15,347,212	(596,415)	2,584,260	20,515,057
წლის წმინდა მოგება	–	–	–	6,545,641	6,545,641
წილობრივი გადახდები	–	(33,477)	–	–	(33,477)
2021 წლის 30 ივნისი	3,180,000	15,313,735	(596,415)	9,129,901	27,027,221

<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>	
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	13,658,058
სხვა მიღებული შემოსავალი	8,709,888
გადახდილი პროცენტი	(6,325,323)
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული გადახდილი ხარჯები	(5,631,288)
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(1,585,462)
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებებში ცვლილებამდე</b>	<b>8,825,873</b>
<i>საოპერაციო აქტივების (ზრდა) კლება</i>	
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	2,084,002
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები	12,591,748
ავანსები და სხვა მოთხოვნები	(577,279)
დღგ და სხვა საგადასახადო მოთხოვნა	(3,248,553)
<i>სხვა აქტივები</i>	<i>1,400,583</i>
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	418,102
სხვა ვალდებულებები	2,742,871
<b>საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები დაბეგრამდე</b>	<b>24,237,347</b>
გადახდილი მოგების გადასახადი	(700)
<b>საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>	<b>24,236,647</b>
<b>ფულადი მოძრაობა ინვესტიციებიდან</b>	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(38,605)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(187,287)
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>	<b>(225,892)</b>
<b>ფულადი მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან</b>	
საიჯარო ვალდებულება	(191,766)
ობლიგაციების გამოშვება	(16,185,271)
ნასესხები სახსრების დაფარვა	(14,274,871)
ნასესხები სახსრების მიღება	26,177,409
<b>სულ ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან</b>	<b>(4,474,499)</b>
სავალუტო ცვლილებების გავლენა ფულად სასხრებზე	(1,988,890)
<b>სულ ცვლილება ნაღდ ფულში და მის ექვივალენტებში</b>	<b>17,547,366</b>
<b>ნაღდი ფული და მისი ექვივალენტი, პერიოდის დასაწყისში</b>	<b>24,441,068</b>
<b>ნაღდი ფული და მისი ექვივალენტი, პერიოდის ბოლოს</b>	<b>41,988,434</b>

## **განმარტებითი შენიშვნები**

### ***კომპანიის აღწერა***

შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას დაარსებულს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია რეგისტრირებულია 2001 წლის 29 ოქტომბერს საიდენტიფიკაციო კოდით 204972155, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი 0179, ყაზბეგის ქ. N3-5.

### ***წარდგენის საფუძვლები***

კომპანიის ზემოთწარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია 2021 წლის პირველი 6 თვის მდოგმარეობით ამოკრეფილია კონსოლიდირებული ფინანსური უწყისებიდან. ისინი შედგენილია საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ (შემდგომში „საბჭო“) დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომელიც მოიცავს საბჭოსა და მისი საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა იმ საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტსა და ინტერპრეტაციას, რომელიც რელევანტურია კომპანიის საქმიანობისათვის. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში.

### ***სააღრიცხვო პოლიტიკა***

#### ***ფინანსური აქტივები***

##### **პირველადი აღიარება**

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვა აღიარდება გარიგების თარიღში, ე.ი. იმ დღეს, როდესაც კომპანია იკისრებს აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულებას. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

##### **თავდაპირველი შეფასება**

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებზე და ინსტრუმენტების მართვის ბიზნეს-მოდელზე. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით და, მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა, გარიგების დანახარჯები ემატება ან აკლდება ამ თანხას.



### **ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები**

კომპანია ახდენს მისი ყველა ფინანსური აქტივის კლასიფიცირებას, აქტივების და აქტივის სახელშეკრულებო ვადების სამართავი ბიზნეს-მოდელის საფუძველზე, რომელიც ფასდება ქვემოთ მოცემულიდან ერთერთით:

- ▶ ამორტიზებული ღირებულება;
- ▶ სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- ▶ სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია მისი წარმოებული ინსტრუმენტების და სავაჭრო პორტფელის კლასიფიკაციას და შეფასებას ახდენს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანიამ შესაძლოა განსაზღვროს ფინანსური ინსტრუმენტი სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ეს აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად შეამცირებს შეფასების ან აღიარების არათანმიმდევრულობას.

ფინანსური ვალდებულებები, გარდა სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური თავდებობებისა, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ისინი სავაჭროდ არიან ფლობილი, წარმოებული ინსტრუმენტებია ან გამოიყენება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრება.

### ***ფული და ფულის ექვივალენტები***

ფული და მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები რომლებიც წარმოდგენილია კომპანიის საბალანსო უწყისში, მოიცავს ნაღდ თანხებს სალაროში, საბანკო ანგარიშებზე და მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტებს, რომელთა ხანდაზმულობის ნარჩენი ვადა იწურება სამ თვეში ან მანამდე.

### ***ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები და ფინანსური იჯარიდან მიღებული შემოსავლის აღიარება***

იჯარის დასაწყისად ითვლება საიჯარო ხელშეკრულების თარიღსა და მხარეთა მიერ იჯარის ძირითადი პირობების შესრულების ვალდებულების აღების თარიღს შორის უადრესი. ამ თარიღისთვის:

- ▶ იჯარა შესულია ფინანსური იჯარის კატეგორიაში; და
- ▶ განსაზღვრულია იჯარის ვადის დაწყებისას ასაღიარებელი თანხები.

იჯარა იწყება იმ თარიღიდან, როდესაც მოიჯარეს ეძლევა იჯარით მიღებული აქტივის გამოყენების უფლება.

ფინანსური იჯარის გაფორმებისას კომპანია აღიარებს იჯარებში წმინდა ინვესტიციას, რაც წარმოადგენს საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მისაღებ მინიმალურ საიჯარო გადასახდელებს. სხვაობა მთლიან ინვესტიციასა და მის დღევანდელ ღირებულებას შორის აღირიცხება ფინანსური იჯარის გამოუმუშავებელ შემოსავალში.

ფინანსური იჯარის შემოსავლის აღიარება ხდება იმისდა მიხედვით, თუ როგორია მუდმივი პერიოდული უკუგების კოეფიციენტი ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ წმინდა ინვესტიციაზე. თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები შედის იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანების პირველად შეფასებაში.

### ***მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი***

გაუფასურების ზარალის შეფასება ფასს (IFRS) 9-ის საფუძველზე, ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიასთან მიმართებაში, საჭიროებს მსჯელობას, კერძოდ, მომავალი ფულადი ნაკადების და უზრუნველყოფის საგნის ღირებულებების თანხის და ვადების შეფასებას გაუფასურების ზარალის განსაზღვრის და საკრედიტო რისკში მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებისას. ამ შეფასებებზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს, რომელთა ცვლილებები შესაძლოა აისახოს რეზერვების სხვადასხვა დონეში. კომპანიას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებები კომპლექსური მოდელების მონაცემებს წარმოადგენს, ცვლადი მონაცემების და მათი ინტერპრეტაციების შერჩევასთან დაკავშირებული სხვადასხვა საბაზისო მოსაზრებებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელების ელემენტები, რომლებიც შესაბამის სააღრიცხვო მსჯელობებს და შეფასებებს წარმოადგენს, მოიცავს შემდეგს:

- ▶ კომპანიას კრიტერიუმი იმის შესაფასებლად არსებობს თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა;
- ▶ რეზერვები ფინანსური აქტივებისთვის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის და თვისებრივი შეფასების საფუძველზე;
- ▶ ფინანსური აქტივების სეგმენტაცია, როცა მათი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება კოლექტიურ დონეზე;
- ▶ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის შემუშავება, მათ შორის სხვადასხვა ფორმულის და ამოსავალი მონაცემების შერჩევა;
- ▶ მაკროეკონომიკურ სცენარებსა და ისეთი ეკონომიკურ ამოსავალ მონაცემებს შორის ასოციაციების განსაზღვრა, როგორც არის მშპ-ს ზრდა, ინფლაციის განაკვეთი და სავალუტო კურსი და დეფოლტის ალბათობის, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის გავლენა;
- ▶ მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური სცენარების შერჩევა ეკონომიკური ამოსავალი მონაცემებიდან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მისაღებად.

### ***ძირითადი საშუალებები***

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით აკუმულირებული ცვეთის და/ან გაუფასურებით გამოწვეული აკუმულირებული ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლას თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

	<b>წლები</b>
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	3
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	3
კომპიუტერები	3
ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და საჭიროების შემთხვევაში დაკორექტირდება.	

### ***საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები***

ყველა კაპიტალური დანახარჯი რომელიც დაკავშირებულია ლიზინგის საგნის შექმნასთან აკუმულირდება ლიზინგით გადასაცემი აქტივების თვითღირებულებაში.

შემენილი ქონება რომელიც შემდგომში ლიზინგით გადაეცემა ლიზინგის მიმღებს უწყისებში წარმოდგენილია როგორც ლიზინგით გადასაცემი აქტივები და აღირიცხება მინიმალური ღირებულებით.

### ***საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივების შეფასება***

საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივების თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესის განსაზღვრისთვის, წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის განსაზღვრავს დამოუკიდებელი შემფასებელი. გამოყენებული მეთოდი ასახავს საბაზრო მიდგომას, რომელიც ეყრდნობა განსახილველი აქტივების შედარებას ბაზარზე გასაყიდ შესაძარის აქტივებთან.

საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები წარმოადგენს უიმედო მოიჯარეებისგან დასაკუთრებულ აქტივებს, რომლებიც შემდგომ იჯარას ან გაყიდვას ექვემდებარება და უიმედო მოიჯარეებისგან იურიდიულად დასაკუთრებულ აქტივებს, რომლებიც ექვემდებარება ფიზიკურ დასაკუთრებას. აქტივების უმრავლესობა, რომლებიც ფიზიკური დასაკუთრების პროცესში არიან, უზრუნველყოფილია და დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება სადაზღვევო კომპანიის მხრიდან.

## **ნასესხები სახსრები**

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება ვალდებულებების სახით მაშინ, როდესაც მფლობელის წინაშე სახელშეკრულებო გარიგებების შედეგად კომპანიას წარმოეშობა ვალდებულება, რომ გადაიხადოს ფული ან ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვაგვარად დააკმაყოფილოს ეს ვალდებულება, გარდა განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სანაცვლოდ საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განსაზღვრული რაოდენობის მიღებისა. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავს სასესხო კრედიტორულ დავალიანებას და გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს. აღნიშნული თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საფასურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

## **ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია**

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაა. ფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტებში გადაიყვანება სამუშაო ვალუტაში ანგარიშგების შესაბამისი პერიოდის ბოლოსთვის სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი გარიგებების ანგარიშსწორებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამუშაო ვალუტაში გადაყვანის შედეგად სებ-ის წლის ბოლოსთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აისახება მოგებაში ან ზარალში. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, გადაიყვანება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

„სებ“-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით იყო:

	<b><u>30 ივნისი 2021</u></b>
ლარი აშშ დოლართან მიმართებაში	3.1603
ლარი ევროსთან მიმართებაში	3.7608

## **მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადი გათვალისწინებულია ფინანსურ ანგარიშგებაში იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას.

## **სალიზინგო აქტივების მართვის პოლიტიკა**


კომპანიისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სალიზინგო აქტივების ეფექტურ მართვას, რისთვისაც კომპანიას ყავს მაღალკვალიფიციური გუნდი და შემუშავებული აქვს ეფექტური პროცესები სალიზინგო აქტივების მიმართულებით რისკიანობის მაქსიმალურად დაბალ დონეზე შესანარჩუნებლად.

კომპანიას სალიზინგო აქტივების მართვის პოლიტიკა შემდეგნაირია:

- ყველა აქტივი ფასდება ინდივიდუალურად, ლიზინგის გაცემამდე
- ლიზინგის გაცემის შემდეგ ხდება აქტივების მონიტორინგი - 6 თვეში ერთხელ, რიგ შემთხვევებში (კომიტეტის გადაწყვეტილებით) ნაკლები პერიოდულობით. გარდა მსუბუქი ავტომობილებისა, რადგან არ არის ხშირად გადამოწმების საჭიროება თუ კლიენტს ყოველთვიური გადასახადის გადახდის შეფერხება არ აქვს
- ყველა აქტივი სურათდება და მონიტორინგის აქტებთან ერთად ინახება კომპანიაში
  - მონიტორინგის დროს ასევე ხდება პრობლემის დაფიქსირება ასეთის არსებობის შემთხვევაში, მაგ.: თუ კლიენტი არღვევს ექსპლუატაციის პირობებს, თუ აქტივი მოსალოდნელზე გაცილებით უარეს მდგომარეობაშია და ა.შ.
- ლიზინგის გაპრობლემების შემთხვევაში, ჩამორთმეული აქტივი სურათდება, აღიწერება და გადადის საწყობში
- ყველა აქტივი დაზღვეულია (მათ შორის რისკიან კლიენტებზე აქტივები დაზღვეულია „გაუჩინარების რისკზე“, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ 3 თვეში ვერ მოხდება აქტივის მოძიება, სადაზღვეო კომპანია ანაზღაურებს მთლიან თანხას)

### აქტივებზე საკუთრების უფლების აღდგენის პროცედურა

აქტივზე საკუთრების უფლების აღდგენა ხდება მაშინ, როდესაც ლიზინგის მიმღებს აღარ შეუძლია გადახდა და ლიზინგის მიმცემი (კომპანია) გადაწყვეტს, რომ აღიდგინოს აქტივზე საკუთრების უფლება.



### ანაგრიშების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

2021 წლის 30 ივნისის შემდეგ პროსპექტის შედგენის თარიღამდე არ მომხდარა ემიტენტის ფინანსურ ან კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული არანაირი მნიშვნელოვანი ცვლილება.


ხელმოწერა

გენერალური დირექტორი

/ელდარ ახვლედიანი/

*ექტივებზე საკუთრების უფლების აღდგენის პროცედურა*

ექტივზე საკუთრების უფლების აღდგენა ხდება მაშინ, როდესაც ლიზინგის მიმღებს აღარ შეუძლია გადახდა და ლიზინგის მიმცემი (კომპანია) გადაწყვეტს, რომ აღიდგინოს აქტივზე საკუთრების უფლება.



*ანაგრიშების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები*

2021 წლის 30 ივნისის შემდეგ პროსპექტის შედგენის თარიღამდე არ მომხდარა ემიტენტის ფინანსურ ან კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული არანაირი მნიშვნელოვანი ცვლილება.

ხელმოწერა

გენერალური დირექტორი

/ელდარ ახვლედიანი/